

ელექტრონული ფორმატის გამოცდის წესები

აღნიშნული წესი განსაზღვრავს კავკასიის უნივერსიტეტში დისტანციური გამოცდების ჩატარებისთვის Microsoft Teams, Moodle, Zoom და სხვა ელექტრონული პლატფორმის (შემდგომში „პლატფორმა“) გამოყენების წესებსა და პირობებს. ასევე მოქმედებს დებულება „გამოცდების ჩატარების წესის შესახებ“

1. საგამოცდო პროცესისათვის სტუდენტმა უნდა მოამზადოს შესაბამისი ელექტრონული მოწყობილობა, რომელსაც იგი გამოიყენებს საგამოცდო პლატფორმაზე სამუშაოდ და რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ინტერნეტით.
2. სტუდენტი ვალდებულია საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას და ნაშრომის შესრულებისას დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ელექტრონულ რეჟიმში საგამოცდო დავალების შესრულებისთვის დადგენილი საუნივერსიტეტო რეგულაციები.
3. სტუდენტი ვალდებულია საგამოცდო პროცესის დროს ჩართული ჰქონდეს ვიდეოკამერა, რათა შესაძლებელი იყოს ვინაობის იდენტიფიკაცია და სამუშაო პროცესის მონიტორინგი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტის ნამუშავერი არ შეფასდება.
4. სტუდენტის გამოცდაზე დაგვიანება დასაშვებია ელექტრონული გამოცდის დაწყებიდან პირველი 15 წუთის განმავლობაში. სტუდენტს, რომელიც აღნიშნული დროის გასვლის შემდეგ შეუერთდება საგამოცდო პროცესს, დააკლდება მიღებული ნიშნის 20%
5. ელექტრონული ტესტირების რეჟიმში ჩატარებული გამოცდა დასრულებულად ითვლება დასრულების დროის გამოყენებით, რის შემდეგაც სტუდენტი ავტომატურად გამოდის ტესტირების გვერდიდან და ვეღარ დაუბრუნდება იმავე საგამოცდო პროცესს.
6. თუ გამოცდა, მასში შემავალი საკითხები/მათი პასუხები ითვალისწინებს სპეციფიკური სიმბოლოების/ნახაზის/ფორმულის/ცხრილის/დიაგრამის გამოყენებას, რომელთა შესრულება მხოლოდ კლავიატურით შეუძლებელია, მაშინ ასეთი ნაწილი საჭიროებს ფურცელზე მუშაობას და ცალკე ფაილად ატვირთვას/გაგზავნას. ასეთ შემთხვევაში, ლექტორი უთითებს, რომ გამოცდა ან გამოცდის საკითხ(ებ)ი/მათი პასუხ(ებ)ი სრულდება ფაილის მიხედვით.
7. საგამოცდო პროცესის მიმდინარეობას მონიტორინგს უწევს დამკვირვებელი და მოქმედებს უნივერსიტეტში არსებული საგამოცდო წესების შესაბამისად.
8. საგამოცდო წესების დარღვევის ფაქტის დაფიქსირების ან/და მათი განმეორების შემთხვევაში, ინფორმაცია გადაეცემა სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტს, რომელიც განიხილავს და შეისწავლის გამოვლენილ თითოეულ შემთხვევას. დეპარტამენტი უფლებამოსილია საკითხის გაცნობის შემდეგ, სტუდენტის მიმართ გამოიყენოს ამ წესით ან/და გამოცდების ჩატარების წესის შესახებ დებულებით განსაზღვრული პასუხისმგებლობის ზომები.
9. განხორციელებული მონიტორინგის/საგამოცდო პროცესის ჩანაწერის შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოყენება/დამუშავება ხდება მხოლოდ ზემოთ მითითებული მიზნების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა სრული დაცვით.

**საგამოცდო წესების დარღვევად განიხილება და გამოცდის
განულების წინაპირობას წარმოადგენს:**

1. გამოცდის მიმდინარეობისას ქუდის/თავსაბურავის/ყურსასმენის ან ისეთი აქსესუარის/ნივთის გამოყენება (მობილური ტელეფონი, ელექტრონული საათი და ა.შ.), რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას გადაწერის/კარნახის მიზნით. გამონაკლისად ჩაითვლება სტუდენტის ნაწერის ფოტოს გადაღება/გადაგზავნა იმ შემთხვევაში თუ გამოცდა მოითხოვს დამატებითი ფაილის ატვირთვას;
2. გამოცდის მიმდინარეობისას სხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენება, გარდა იმ მოწყობილობისა, რაზეც ხდება სტუდენტის მიერ საგამოცდო ნაშრომის შესრულება;
3. გამოცდის მიმდინარეობისას ნებისმიერი სახის კომენტარი ან საუბარი/გადალაპარაკება, სისტემატიური ხასიათის მიტრიალება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სტუდენტის ასეთ ქმედებას აქვს ერთჯერადი ხასიათი;
4. გამოცდის მიმდინარეობისას სხვა პირის გამოჩენა სტუდენტის სამუშაო სივრცეში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, რომლის გაკონტროლებაც წინასწარ შეუძლებელი იყო სტუდენტის მიერ (მაგალითად, სხვა პირის კადრში შემთხვევით მოხვედრა, რასაც არ აქვს სისტემატიური ხასიათი);
5. გამოცდის შესრულება სხვა პირის მიერ;
6. გამოცდის მიმდინარეობისას საგამოცდო სივრცის, კამერის დაფარვის ზონის დატოვება ნებისმიერი მიზეზით;
7. ნებისმიერი სახის პლაგიატი (როგორც სტუდენტების ნაშრომებს შორის ასევე საძიებო სისტემებიდან);
8. ლექტორის მიერ ნაშრომის გასწორების დროს, პლაგიატის/გადაწერის ფაქტ(ებ)ის დაფიქსირების შემთხვევაში, სტუდენტს შესაბამის გამოცდაში (და არა გამოცდის მხოლოდ იმ დავალებაში, სადაც მოხდება გადაწერის/პლაგიატის შემთხვევის აღმოჩენა) გაუფორმდება შეფასება ნული.
9. საგამოცდო ნაშრომში არათემატური საკითხების დაწერა;
10. გამოცდის დასრულებამდე დაუშვებელია ტესტირების გვერდიდან გამოსვლა ან გვერდის ჩახურვა, გამონაკლისია მხოლოდ Open book -ის ტიპის გამოცდა;